პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 73 (13194) | კვირა, 28 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## მინდვრებსა და პლანტაციებში

[illegible] ... შან მან ყოველ ას ნერბზე 96 ბატკანი გაზარდა, თვითეულ ცხვარზე 3,5 კილოგრამი მატყლი მიიღო. მან თანამოსაქმეებთან ერთად წელს მეხუთედ გამოაზამთრა ფარა ყიზლარის საძოვრებზე.

დარსა და ავდარში თვალუწვდენ ველზე სასა- [illegible] ... ლი, ნ. ჭავჭავაძე.





სურათებზე: ზემოთ — მწყემსი ჟ. ხულელიძე. ქვემოთ — მზრალის გადახვნა ზნაურის რაიონის ავნევის კოლმეურნეობაში.

ფოტოები ვ. ყუშიტაშვილისა და ვ. უზოუენკოსი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის მშრომელთა სამოქმედო დიდი პროგრამა

### საქართველოს მშრომელები გულდასმით განიხილავენ და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებებს პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მიიჩნევენ უმნიშვნელოვანეს და საარსებოდ საჭირო საქმედ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებიდან.

## დაისახა ნათელი პერსპექტივები

სოფლის მშრომელთა მთელი ყურადღება მიპყრობილია მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებებზე. გულდასმით წავიკითხე ამხ. ლ. ბრეჟნევის მოხსენება და პლენუმის დადგენილება, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

მოხსენებაში ნამდვილად სწორად არის ნათქვამი: „ბოლო წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში სულ უფრო იმარჯვებდა წმინდა ნებისმიერი ხასიათის მოქმედება. განსაკუთრებით დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, დაფინანსებისა და დაკრედიტების დარგში"... „ბევრი, ზოგჯერ უსაფუძვლო გარდაქმნა წარმოშობდა ნერვიულობისა და ფუსფუსის ვითარებას, ხელმძღვანელებს უხშობდა პერსპექტივას, ურყევდა მათ რწმენას თავიანთი ძალებისადმი".

ეს ასე იყო. უნდა აღმოიფხვრას სოფლის მეურნეობაში დაშვებული შეცდომები, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენა პროდუქტების წარმოების გადიდებას, წინსვლის საქმეს.

უპეველიი დამზადების სისტემის სრულყოფა, მატერიალური წახალისების ღონისძიებების დანერგვა, თანდათანობით სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა და სხვა ღონისძიებები აუცილებლად შექმნის სოფლის მეურნეობის მტკიცე ეკონომიურ საფუძველს.

**ე. დანელია,**
გარდაბნის რაიონის ნორიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი.

## მევენახეთა აღფრთოვანება

ველისციხელი კოლმეურნეები აღფრთოვანებით ადევნებდნენ თვალყურს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

პლენუმის დოკუმენტებში ნათლად არის ასახული ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და ნაჩვენებია მისი შემდგომი განვითარების გზა. ჩვენ გვახარებს, რომ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის საგანი საბჭოთა ადამიანია. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სწორედ მარტის პლენუმის დადგენილება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების მომატება კიდევ უფრო გაადიდებს კოლმეურნეობის შემოსავალს, შრომადღის ღირებულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილების პასუხად ველისციხელი მევენახეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სამშობლოს უხვად მისცენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

**მ. მექვევრიშვილი,**
გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

## სოფლის სიხარული

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი. ჩვენ აღგვაფრთოვანა მექანიზატორთა, სპეციალისტთა შრომის მაღალმა შეფასებამ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მისი უზრუნველყოფა მექანიზატორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრებით.

ეს კარგად გვესმის და ამიტომ არ დავიშურებთ ენერგიას, ცოდნას იმისათვის, რომ გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ვამაყობ, რომ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს" ვმართავ.

ჩემი პირობაა გავამართლო ნდობა და წელს მოვკრიფო სულ ცოტა 20.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

**ზ. ურუშაძე,**
მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

## საგაზაფხულოდ

ჩხოროწყუს რაიონში გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები, — გვწერენ პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი დ. ჯიჯელავა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. თოდუა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი გ. ცირამუა. დროულად გადაბარეს მეჩაიეებმა 2.204 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და ფოსფორიანი სასუქები შეიტანეს. წინა წლებში დაკნინებული პლანტაციები — 100 ჰექტარი კარგად დაამუშავეს, გაწმინდეს ეკალ-ბარდისაგან.

წინა წლებთან შედარებით წელს უკეთ მოემზადნენ სიმინდის თესვისათვის. უკვე მოხნულია 2.200 ჰექტარზე მეტი სასიმინდე ფართობი. გამოყოფილია 300 ჰექტარი უხვმოსავლიანი ნაკვეთები, რომლებშიც შეტანილია ნაკელი და მდინარის შლამი. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან ყველა სახის თესლით. რაიონის მესიმინდეებმა ვალდებულება იკისრეს დათესონ 2.628 ჰექტარი სიმინდი და სულ მიიღონ 5.785 ტონა, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 22 ცენტნერი სიმინდის მარცვალი ნაცვლად 20 ცენტნერისა. სიმინდის თესვას შეუდგნენ ზუმის, ახუთის, ნაფიჩხოვოს და კირცხის კოლმეურნეობები.

წელს სოიის წმინდა ნათესი 330 ჰექტარს გადაამეტებს.

პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის.

ჩხოროწყუელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები.

## მხოლოდ კონდიციური თესლი

სამტრედია. (სპეც. კორ.). მაღალხარისხოვანი თესლი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი პირობაა. ეს კარგად აქვთ შეგნებული სამტრედიელ მხვნელ-მთესველებს. მათი პირობა იყო 20 მარტისათვის მოემარაგებინათ 2.825 ცენტნერი სიმინდის თესლი. თქვეს და ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ეს დავალება. უკვე მზად აქვთ 3.122 ცენტნერი მაღალხარისხოვანი სიმინდის თესლი.

კონდიციური თესლის მომზადებისათვის სასახელოდ იმუშავეს ქ. სამტრედიის კიკვიძის სახელობის და ლენინის სახელობის, ნაფალაურის ლენინის სახელობის, საჯავახოს, ეწრის, იანეთის, გომის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ლანჩის, ბაშის, ვაზისუბნის, სამტრედიის საბჭოთა მეურნეობებმა.

რაიონის მხვნელ-მთესველებმა მოსავლიანობის გადიდების მიზნით გადაწყვიტეს სათესლედ გამოყოფილი სიმინდის თესლი მანქანებით დაკალიბრონ.

## საბჭოთა მთავრობის ნოტა

### ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

26 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

ნოტაში ნათქვამია: მიღებულია ცნობები, რომლებიც დაადასტურეს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები შხამიან გაზებს იყენებენ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ ცნობების თანახმად, სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი ამერიკის ვერტმფრენები და ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები ფანტავენ სამხრეთ ვიეტნამის დასახლებულ პუნქტებში ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც აზიანებენ ადამიანის მხედველობის, სასუნთქავ ორგანოებსა და კუჭ-ნაწლავის სისტემას. გაზების იერიშის მსხვერპლნი გახდნენ ვიეტნამის სოფლების მშვიდობიანი მცხოვრებნი, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შხამიან გაზებს სამხრეთ ვიეტნამში იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს დასტურით. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ამ განცხადების დამატებით აღნიშნა, რომ ამერიკის სარდლობას ადგილებზე საერთოდ მინიჭებული აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ამგვარ საშუალებათა გამოყენების საკითხი.

სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უაღრესად უხეში დარღვევაა, ადამიანური მორალისა და ჰუმანურობის ელემენტარული პრინციპების ფეხქვეშ გათელვაა, ხაზგასმულია ნოტაში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ მხუთავი, შხამიანი და სხვა ამგვარი გაზების გამოყენება დიდი ხანია აკრძალეს და გადაჭრით დაგმეს მსოფლიოს ხალხებმა.

ნოტაში აღნიშნულია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა დაგმეს ჰიტლერული გერმანიის მზადება ქიმიური ომისათვის, გააფრთხილეს იგი, რომ ასეთ ნაბიჯს საშიში შედეგები მოჰყვება.

ისმება კითხვა, როგორ შეიძლება ამის შემდეგ შევაფასოთ ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატები შხამიან გაზებს იყენებენ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ? სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენება საყოველთაო აღშფოთებასა და დაგმობას იწვევს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ნათქვამია ნოტაში, უნდა გაითვალისწინოს, თუ რა მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობს ვიეტნამელი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მომწამვლელი გაზების გამოყენებას სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უაღრესად სერიოზულად აწონ-დაწონის თუ რა პასუხისმგებლობას კისრულობს, როცა მიმართავს ისეთ არაადამიანურ აქციას, როგორიცაა ქიმიური იარაღის გამოყენება, და მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა დაუყოვნებლივ მოუღოს ბოლო მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებას სამხრეთ ვიეტნამში. (საქინფორმი).

## ბუქარესტიდან დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია

26 მარტს ბუქარესტიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი.

დელეგაცია მონაწილეობდა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გეორგე გეორგიუ-დეჟის დაკრძალვაში.

დელეგაციას ვნუკოვოს აეროდრომზე შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ა. პ. კირილენკო და დ. ს. პოლიანსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები. (საქინფორმი).

## მომავალი ვიზიტი

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მიწვევით უნგრეთის განთავისუფლების 20 წლისთავის ზეიმზე 1 აპრილს ბუდაპეშტში მეგობრულ ვიზიტად ჩავა საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოიანის მეთაურობით.

## სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პოლონეთში მომავალი ვიზიტის შესახებ

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით აპრილის დამდეგს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ვიზიტის დროს ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულება სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც იქნება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის განახლებული ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ დადებული 1945 წლის 21 აპრილს ოცი წლის ვადით.

## საბჭოთა კავშირ-ალჟირის ვაჭრობა

სსრ კავშირმა და ალჟირმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს საქონელბრუნვის შესახებ 1965 წელს. საბჭოთა კავშირი ალჟირს მიაწვდის სხვადასხვა მანქანასა და მოწყობილობას, შავი ლითონების ნაგლინს, ქსოვილს, შაქარს, მედიკამენტებსა და სხვა საქონელს. ალჟირი საბჭოთა კავშირში შემოიტანს ხილს, ქაღალდს, თამბაქოს ნაწარმსა და სხვა. (საქინფორმი).




# თეატრის დღე

გუშინ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა თეატრის მეოთხე საერთაშორისო დღეს.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი ვ. ჭელიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. სლავინი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის ხელმძღვანელი ვ. ვაშაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დ. ჯანელიძე, თეატრმცოდნე ნ. ურუშაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბ. მჭედლიძე.

უკვე დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით გუშინ, 27 მარტს, ჩატარდა თეატრის მეოთხე საერთაშორისო დღე, რომელიც დაწესებულია იუნესკოსთან არსებული თეატრების საერთაშორისო ინსტიტუტის კონგრესის მიერ.

მიმდინარე წელს ამ საერთაშორისო დღეს უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა. იგი ჩვენში ჩატარდა საბჭოთა თეატრების ძალთა დათვალიერების, მათი მხატვრული და იდეური დონის შემოწმების, საბჭოთა თეატრის საერთაშორისო პრესტიჟისა და გავლენის ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით.

საბჭოთა თეატრის მოღვაწეები თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით მეგობრულ ურთიერთობას ამყარებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან. როგორც თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის წესდების პირველი პარაგრაფი გვაუწყებს, ინსტიტუტი მიზნად ისახავს იმოღვაწეოს მშვიდობის ხაკეთილდღეოდ. იგი დაეხმარება ხალხებს ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაში, ხელს შეუწყობს თეატრალურ მოღვაწეებს გამოცდილების ურთიერთ გაზიარებაში.

დღეისათვის თეატრების საერთაშორისო ინსტიტუტი მსოფლიოს 50 ქვეყანას აერთიანებს. მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულია „ეროვნებათა თეატრი", რომელიც ყოველწლიურად, მარტიდან-ივნისამდე თეატრალური სეზონის შედეგებს აჯამებს. ამ თვეებში უჩვენებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის თეატრალური კოლექტივების საუკეთესო სპექტაკლებს.

„ეროვნებათა თეატრის" სეზონებში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა თეატრებიც.

მიმდინარე წელს მეოთხე საერთაშორისო დღე ჩატარდა ჩვენს თეატრებში საუკეთესო სპექტაკლების ჩვენებით. ამავე დროს ჩვენმა სახალხო თეატრებმა და თვითმოქმედმა კოლექტივებმა წარმოადგინეს თავიანთი მნიშვნელოვანი სანახაობები. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი. თეატრებში, კლუბებში და კულტურის სახლებში მოეწყო საუბრები, მიძღვნილი თეატრის საერთაშორისო დღისადმი. ასეთივე სახის საუბრები ჩატარდა სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში და თეატრალურ თვითმოქმედ კოლექტივებში.

ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნებას მრავალი მაღალმხატვრული ნიჭიერი თეატრალური კოლექტივი ამშვენებს. მათ მხატვრულ ამაღლებას დიდად უწყობს ხელს შემოქმედებითი კადრების ზრდა. უკანასკნელ წლებში ჩვენს თეატრებში მოვიდნენ დიდად საიმედო ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები.

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში თავი ისახელეს ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორებმა. მათს აღზრდას და დაოსტატებას დიდად უნდა ვუმადლოდეთ თეატრალურ ინსტიტუტს და მის პედაგოგებს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი საუკეთესო დადგმები გვიჩვენეს ჩვენი რესპუბლიკის თეატრებმა. მისასალმებელია რუსთაველის სახელობის თეატრის ბოლოდროინდელი პრემიერა: მილერის „სეილემის პროცესი", რომლის განხორციელება ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორ რ. სტურუას.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ ჩვენი შესანიშნავი დრამატურგის პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმლის" დადგმა. რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ და თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა წარმატებით დაძლიეს ეს მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გრიბოედოვის სახელობის და დედაქალაქის სხვა თეატრებმაც.

წარმატებით დაიდგა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში ვაჟა-ფშაველას „მინდია", სოხუმის თეატრში — ოთ. ჩხეიძის „მამაო თევდორე", ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში — პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა" და დ. კვიცარიძის „გამარჯობა, ჩვენო ქალაქო".

ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, თეატრის საერთაშორისო დღესთან ერთად ხელოვნების მუშაკებს გვაქვს კიდევ ერთი სასიხარულო ფაქტი. ეს გახლავთ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის რეკონსტრუირებული შენობის გახსნა.

პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობით ჩვენმა მშრომელებმა მიიღეს კიდევ ერთი შესანიშნავი თეატრალური შენობა. ვ. აბაშიძის სახელობის თეატრის ნიჭიერმა და მუყაითმა კოლექტივმა ეს საჩუქარი ღირსეულად დაიმსახურა.

ჩვენი შემოქმედებითი წარმატებები მარტო საბჭოთა თეატრების ოსტატების ზეიმი როდია. იგი ამასთანავე სიმართლის, ჰუმანიზმის, მშვიდობისა და მეგობრობის მაღალი იდეების გამარჯვების ზეიმიც გახლავთ.

**დ. ანთაძე,**
საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

## ახალი სეზონი ახალ შენობაში

26 მარტი სასიხარულო დღე იყო თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისათვის. თეატრის შენობის კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ კოლექტივმა გახსნა ახალი სეზონი.

თეატრის კოლექტივს მიულოცეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ჭიაურელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. მაჭავარიანმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, მეტრომშენებელმა თ. ვამაძემ.

მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. შანიძემ ილაპარაკა თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი გზის შესახებ.

საღამოს დასასრულს უჩვენეს სპექტაკლი-კონცერტი „ჩვენი სიხარული", რომელიც დაიდგა დრამატურგ ლ. ქუმბაბრიას ლიბრეტოს მიხედვით.

თეატრის ახალი შენობის გახსნას ესწრებოდნენ ამხანაგები მ. ი. კუჭავა, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჭანუყვაძე, რ. ი. ფრუიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი და ვ. მ. სირაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ა. სალუქვაძე. (საქინფორმი).

# მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს

### ამერიკა მომწამვლელ ნივთიერებას იყენებს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ




თავისუფლების ქანდაკების თანამედროვე ვარიანტი

ნახატი ინგლისურ ბურჟუაზიულ გაზეთ „დეილი მეილიდან".

## მძიმე დანაშაული

### საკავშირო პროფსაბჭოს განცხადება

უსაზღვრო აღშფოთებითა და გულისწყრომით შეხვდნენ საბჭოთა მშრომელები ცნობას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა ნაპალმი და მომწამვლელი ნივთიერებანი გამოიყენეს სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამერიკის გათავხედებულმა მხედრიონმა, რომელიც ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, მძიმე დანაშაული ჩაიდინა კაცობრიობის წინააღმდეგ.

თავის განცხადებაში საკავშირო პროფსაბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ ეს ბარბაროსული მოქმედება დახატონ როგორც „ომის წარმოების ჰუმანური საშუალება", მაგრამ ამერიკის პროპაგანდის ვერავითარი ხრიკები შეცდომაში ვერ შეიყვანს მსოფლიო საზოგადოებრიობას.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საბჭოთა კავშირის მშრომელების სახელით გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედებას ვიეტნამში.

გადაჭრით მოვითხოვთ, ნათქვამია განცხადებაში, დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ვიეტნამში, ამერიკამ გაიყვანოს თავისი ჯარები და ვიეტნამელ ხალხს უფლება მიეცეს თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი. ხელები შორს ვიეტნამისაგან! (საქინფორმი).

## ბარბაროსობა უნდა შეწყდეს

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალები სამხრეთ ვიეტნამში ჰაერიდან მომწამვლელ ნივთიერებებს ყრიან არა მარტო მოწინააღმდეგე ჯარის მებრძოლების, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის თავზე.

მათი ბომბების მსხვერპლნი ხდებიან ბავშვებიც. ამან განსაკუთრებით აღგვაშფოთა ჩვენ, მედიცინის მუშაკები, რომლებიც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას ვემსახურებით.

ბარბაროსობა უნდა შეწყდეს, დანაშაული არ უნდა ეპატიოთ ომის გამჩაღებლებს!

**ნ. ებრალიძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, თბილისის № 1 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის მოადგილე.

## ბატონ სემუელ გონარდს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს

ჟენევა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის მილიონობით წევრი აღშფოთებულია უკანასკნელი ცნობების გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს ნაპალმი და მომწამვლელი გაზები სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ. მსოფლიო საზოგადოებრიობამ შეიტყო, რომ ინტერვენტთა ჯარები უგულებელყოფენ ადამიანობის ელემენტარულ პრინციპებს და უკიდურესობამდე მივიდნენ — დაიწყეს ქიმიური ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების ფაქტს აშკარად აღიარებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები. ამერიკის ინტერვენციონისტული ჯარების სარდლობის ეს დანაშაული აღნიშნულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი ჯვრის მიმართვაში, რომელიც მიმდინარე წლის 24 მარტს გამოქვეყნდა.

გრძელდება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა, ინგრევა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, სკოლები, იღუპებიან ქალები, ბავშვები, მოხუცები. ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობა აუტანელ ტანჯვას განიცდის. ამერიკის შეიარაღებული ძალების ასეთი მოქმედება აშკარად არღვევს საერთაშორისო სამართალს, ჟენევის 1925 წლის ოქმს ომის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა აკრძალვის შესახებ, აგრეთვე ჟენევის 1949 წლის კონვენციებს ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ.

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვარი გამოხატავს საბჭოთა ადამიანების გრძნობებს და დაბეჯითებით მოუწოდებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეაჩეროს ამერიკის შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი მოქმედება ვიეტნამში, თავიდან აიცილოს ვიეტნამელ ხალხს შემდგომი მძიმე ტანჯვა.

ველი თქვენს პასუხს, ღრმა პატივისცემით

პროფესორი **მიტერევი,**
საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1917 წლიდან, პოეტი და საზოგადო მოღვაწე

**სანდრო ეული-ქურიძე**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

# ადამიანი მიაბიჯებს ვარსკვლავებისაკენ

## გვიამბობს ხომალდის „ვოსხოდ-2" ეკიპაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, 26 მარტი. (საქდესის კორ.). თითოეული ჩვენი კოსმონავტი ყოფილა აქ, დარბაზში, სადაც ხმაურობენ კინოაპარატები, სადაც იუპიტერები თითქოს, თვით მზეს ეცილებიან.

ხალხით არის გაჭედილი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზი, სადაც გაიხსნა საბჭოთა და. უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენცია, მიძღვნილი კოსმოსური ხომალდის „ვოსხოდ-2" ფრენისადმი. პრეზიდიუმში არიან კოსმონავტები, მეცნიერები და სპეციალისტები. აქ მოვიდნენ მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სტუმართა შორის არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები.

მიკროფონები დგას ტრიბუნის გარშემო, რომელზეც დღეს გამოვლენ კოსმონავტები და მეცნიერები. რადიოსა და ტელევიზიის რეპორტიორები მზად არიან ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში გადასცენ ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ გადაადგა ადამიანმა პირველად ვარსკვლავებისაკენ...

პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხალხის ახალ თვალსაჩინო გამარჯვებას კოსმოსის ათვისებაში, მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა. პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

საბჭოთა ხალხი, თქვა მ. ვ. კელდიშმა, გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად სწავლობს და ითვისებს კოსმოსურ სივრცეს. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მოწინავე კოსმოსური მრეწველობა, რომელიც საშუალებას აძლევს საბჭოთა მეცნიერებსა და ინჟინრებს გადაწყვიტონ სამყაროს სიღრმეებში შეღწევის გრანდიოზული ამოცანები.

...

ლოვნად გართულდა. ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვქონდა კოსმოდრომთან, რომლებიც ხომალდს ქოქიდნენ, მონაწილეობას ვიღებდით ხომალდის სხვადასხვა სისტემის გამოცდაში, თქვა კოსმონავტმა.

დიდი წვრთნა წარმოებდა სასწავლო ხომალდით. ამ ხომალდში ძე და ალექსი ლეონოვმა ...

...

პასუხი. შეიძლება გუმანით ძცოდა. მაგრამ ისინი ...

კითხვა. „ვოსხოდ-2"-ის სტარტის წინ ... ცანაში შედიოდა თუ არა სამონტაჟო სამუშაოები? მშენებლებს აინტერესებთ, საჭირო იქნება თუ არა კოსმოსში მშენე-...

...



სურათზე: პრეს-კონფერენციის პრეზიდიუმი.

საქდესის ფოტოქრონიკა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ადგილს ასეთი ძირდაშვების სიახლის გამო. ეს ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა ფართო შესაძლებლობანი აქვს ჩვენს კოსმოსურ ტექნიკას, რომელიც დაზღვეულია ყველა შემთხვევითობისა და მოულოდნელობისაგან.

კოსმოსური ხომალდის ძირდაშვების წარმატებით შესრულებაში ხელი შემიწ-...

ლე გამეხედა გარეთ. ვეკითხები მეთაურს, მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით უნდა წარიმართოს, აჩქარება არ შეიძლებოდა. შევიცადე კიდევ ცოტა ხანს. და ბოლოს, ყველაფერი მზად არის, შეიძლებოდა გასვლა.

ჩემს წინ გადაიშალა თვალუწვდენი კოსმოსი მთელი თავისი აუწერელი სი-...

ხსრულებდა ის გარემოება, რომ განუწყვეტლივ მქონდა კავშირი ხომალდის მეთაურთან, ჩემს კარგ მეგობართან, აგრეთვე დედამიწასთან. თავს მარტო როდი ვგრძნობდი კოსმოსში. ბოლოს, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ კარგად იყო გაკეთებული სკაფანდრი, რომ საიმედო იყო სიცოცხლის უზრუნველყოფის მოწყობილობა ...

...




შემდეგ კვლავ მოჩანდა ვარსკვლავები, დედამიწის სივრცეები.

რამდენიმე ხნის შემდეგ საკმაოდ ენერგიულად წამოვიწიე, ხელი ჩავჭიდე ღალს და იძულებული ვიყავი ხელით დამეცვა თავი ხომალდისაგან, რომელიც ...

მოთ როგორც ფიზიკური ხასიათის სამუშაოები, ისე მეცნიერული დაკვირვებაც.

ბილეკი, რომლითაც ადამიანმა პირველი ნაბიჯები გადადგა კოსმოსში, — აღფრთოვანებით ამბობს ა. ა. ლეონოვი, ...

...ვფიქრობ, რომ ხომალდის მეთაურს ყოველ წუთს შეეძლო დამხმარებოდა.

კითხვა. თქვენმა ცოლმა წინასწარ თუ იცოდა, რომ კოსმოსში მოგიხდებოდათ ხომალდიდან გასვლა?

...

# მხარდამხარ კომუნიზმის ახალი მიჯნებისაკენ

## ქალაქ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

...ლისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. რ. ზრუიძემ.

— შარშან ქალაქის მრეწველობამ, — თქვა მომხსენებელმა, — ვადამდე, 102,7 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა და გამოუშვა მრავალი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. საწარმოთა და მშენებლობათა მშრომელებმა ნაცვლად ნაკისრი ვალდებულების 1,5 პროცენტისა, 2,4 პროცენტით გადააჭარბეს შრომის ...

...რმოება, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელმა ქარხანამ გამოუშვა დიდმწარმოებლური ჩარხები მილების მრეწველობისათვის, რომლებიც შეესაბამება ტექნიკის თანამედროვე დონეს. ბევრი ახალი პროდუქცია აითვისეს ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოებმაც.

დღეს საქართველოს დედაქალაქში 70 ...

ამასთან ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა საქმიანობაში არის ნაკლოვანებანი. მაგალითად, შარშან, ათმა საწარმომ არ შეასრულა საწარმოო დავალება, ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში როდი აქცევენ სათანადო ყურადღებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, ...

...მული იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ს. ასლანოვს.

— მოხარული ვართ მოგახსენოთ, — თქვა თავის სიტყვაში რიგის საქალაქო ...

...ლი სახლები, სკოლები, ქარხნები და სხვა სამრეწველო ობიექტები.

საუცხოოდ იშრომეს გასულ წელს ერევნელებმა. მაგრამ უფრო პასუხსაგები ამოცანები დაისახეს მათ შვიდწლედის დამამთავრებელ წელს. ერევნის მშრომელებმა გადაწყვიტეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა სამი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ, 2,2 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის

## საქართველოს მხატვართა მეექვსე ყრილობა

ს[illegible]

[illegible] ...ბის შემდგომი მუშაობა უნდა წარიმართოს პარტიისა და ხალხის ღირსშესანიშნავი თარიღების — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ნიშნით. ჩვენი მხატვრები ღირსეულად უნდა შეხვდნენ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს, რომელიც აღინიშნება მომავალი წლის სექტემბერში.

დიდია თანამედროვე ხელოვნების როლი და დანიშნულება მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მან ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანების სულიერ ზრდას. კომუნისტურ პარტიას სახვითი ხელოვნება მიაჩნია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იდეურ იარაღად, ხოლო მხატვრები თავის ერთგულ თანაშემწეებად კომუნიზმის მაღალი იდეალების სულისკვეთებით ხალხის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

პარტია აშკარად და შეურიგებლად ამხელდა და კვლავაც გაილაშქრებს ფორმალისტური ტენდენციებისა და აბსტრაქციონისტული დამახინჯებების წინააღმდეგ სახვით ხელოვნებაში, დაუცხრომლად იბრძოლებს ბურჟუაზიული ხელოვნების წინააღმდეგ, დაიცავს საბჭოთა ხელოვნების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს — მის კომუნისტურ პარტიულობას, მაღალ იდეურობას, ნამდვილ ხალხურობას.

— უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველი მხატვრების შემოქმედებითმა კოლექტივმა, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობების მითითებებით, პარტიის გადაწყვეტილებებით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა მუშაობაში, — თქვა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ზ. ლეჟავამ**. — ახლა მხატვრებს დასახული აქვთ უფრო რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს დაძაბულ შემოქმედებით შრომას, ცხოვრებასთან კავშირის უფრო მეტად განმტკიცებას, ბეჯით და შეუპოვარ ძიებას. ამ საკითხების გადაჭრით მხატვრები კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ და პროფესიულ დონეს, უფრო დიდი იქნება მათი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

[illegible] ...მოეწყო ვ. შინგლოვის, ვ. ბუზნოვასა და ი. ცომაიას პერსონალური გამოფენები. აფხაზი მხატვრების მოძრავი გამოფენები მოეწყო ტყვარჩელში, შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე.

ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილება. ზნაურში, ჯავაში, კვაისში და სხვა ადგილებში მოეწყო მოძრავი გამოფენები, რომელთა განხილვაში მონაწილეობდნენ მშრომელთა ფართო ფენები, ცხინვალში მოეწყო დასავლეთ ევროპის, რუსულ და ქართულ ფერწერათა ნაწარმოებების გამოფენა, რომელიც მოაწყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა.

ნაყოფიერად შრომობს აჭარის მხატვართა კოლექტივი. აჭარელი მხატვრების ნაწარმოებები წარმოდგენილი იყო ყველა რესპუბლიკურ გამოფენაზე.

რესპუბლიკის მხატვართა ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“, რომელიც მოწმობს ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატთა დიდ შემოქმედებითს ზრდას. ყურადღებას იპყრობს თემების, ჟანრების მხატვრული ინდივიდუალობის მრავალფეროვნება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იგი ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღის — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია ქართული სახვითი ხელოვნების წარმატებანი, რაც მიღწეულია ამ ბოლო წლებში, აღნიშნულია ნაკლოვანებანი, რომელთა დროულად აღმოფხვრა დაეხმარება ჩვენს მხატვრებს უფრო ნაყოფიერად იშრომონ, შექმნან ახალი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები.

ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქართული სახვითი ხელოვნება ჯერ კიდევ სავსებით არ განთავისუფლებულა წარსულის შეცდომებისაგან, ჩვენს გამოფენებში ჯერ კიდევ გვხვდება ნაწარმოებები, რომლებშიც არ არის აღძრული საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტუალური თემები, არ არის ასახული ნამდვილი იდეური და მხატვრული ძალით ჩვენი თანამედროვის — კომუნიზმის მშენებლის სახე.

ეს იმით აიხსნება, რომ მხატვართა კავშირი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა დისკუსიებს, საბჭოთა სახვითი ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების შემოქმედებითს განხილვას; გამგეობის პლენუმები მეტ წილად ეძღვნებოდა ორგანიზაციულ საკითხებს და არა მხატვრული შემოქმედების პრობლემებს. საჭიროა მეტი ობიექტურობა და პრინციპულობა გამოვიჩინოთ გამოფენების განხილვის დროს. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა, რომელთა მუშაობა უფრო სრულყოფილი უნდა გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის სექციის ცალკეული წევრები დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან, მთლიანად სექცია ჯერ კიდევ მოწყვეტილია მხატვართა კავშირის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიაში არ იბეჭდებოდეს და არ ქვეყნდებოდეს დილეტანტური ნაკლებად კვალიფიციური სტატიები და მასალები, რომელიც ორიენტაციას უკარგავენ არა მარტო ფართო საზოგადოებრიობას, არამედ თვით მხატვრებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გასულ წელს მიიღეს ერთობლივი დადგენილება მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მივცეთ მოსწავლეებს ელემენტარული ცოდნა სახვითი ხელოვნების დარგში. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს ხატვის გაკვეთილებზე. საქართველოს მხატვართა კავშირი აქტიურად უნდა ჩაერიოს საშუალო სკოლების ხატვის მასწავლებელთა მომზადებაში, დაავალოს ეს მნიშვნელოვანი საქმე სამხატვრო აკადემიას. პროფესიონალმა მხატვრებმა, აკადემიის სტუდენტებმა უშუალოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა საშუალო სკოლებში შექმნილი სახვითი ხელოვნების მხატვრული წრეებისა და სტუდიების მოწყობაში, მუშაობაში.

საქართველოს მხატვრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, სოფლების მხატვრულ გაფორმებაში, მეტი ზრუნვა უნდა გამოიჩინონ საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნაწარმის გარეგნული სახისათვის, რაც უნდა შეესაბამებოდეს მშრომელთა ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ზ. ლეჟავამ თავისი მოხსენების ბოლოს თქვა, რომ რესპუბლიკის მხატვრები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ღირსეულად გაამართლონ პარტიისა და ხალხის მაღალი ნდობა.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მდივანმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ბ. იოგანსონმა ილაპარაკა თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მხატვრებმა. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი შესანიშნავი კულტურა ეხმარება კიდეც და ბევრ რამეს ავალებს დღევანდელი თაობის მხატვრებს. ქართული ფერწერის წარმატებანი, მხატვართა მზარდი და მტკიცე მისწრაფება, შექმნან დიდი თემატური ტილოები, იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე. მაგრამ დღემდე ქართულ მხატვრობაში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც სავსებით გამოხატავდეს ღრმა გრძნობასა და შემოქმედებითს აზრს. რესპუბლიკური გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“ ცხადყოფს ერთგვარ გარდატეხას ამ მხრივ.

მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი საქართველოს თანამედროვე ხელოვნებაში ქანდაკებას უჭირავს. რომანტიკულად ამაღლებული წყობა, პლასტიკის, მასალის საუცხოო შეგრძნობა, მისწრაფება გადმოსცეს ჯანსაღი ადამიანის სულისა და სხეულის მშვენიერება, — აი რა ახასიათებს ქართულ ქანდაკებას, რომელსაც დიდი წარმატება აქვს ჩვენს მხატვრულ გამოფენებზე. მართალია, პორტრეტით გატაცება ჯერ კიდევ რამდენადმე ხელს უშლის კომპოზიციური ქანდაკების განვითარებას, ამიტომ კარგი იქნებოდა, რაც შეიძლება მალე აღდგენილიყო სათანადო თანაფარდობა.

**ყრილობას** მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი **ი. აბაშიძე**. მან მოუწოდა ფუნჯისა და საჭრეთელის ოსტატებს განამტკიცონ კონტაქტები ხალხთან, ლიტერატურის, მეცნიერების მოღვაწეებთან, ხელიხელჩაკიდებული იარონ წინ, თავიანთი შემოქმედებით ემსახურონ კომუნიზმის მშენებლობას, ახალი ადამიანის აღზრდას. მხატვრები ხომ ისევე, როგორც მწერლები და ხელოვნების სხვა მოღვაწეები არიან პარტიის თანაშემწენი მშრომელთა იდეოლოგიურ აღზრდაში.

ქართველ მხატვართა ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ი. ჩხენკელი** და კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ს. დოლიძე**.

საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ **მ. ეშბამ** ყრილობაზე წამოჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც პრაქტიკულ გადაჭრას მოითხოვენ. საჭიროა, რომ სოხუმში უფრო ხშირად ეწყობოდეს მოძრავი გამოფენები როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო მნიშვნელობისა.

სწორად აღინიშნა მოხსენებაში, რომ მხატვრებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენი ქალაქების გაფორმებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ. მართალია, ჩვენს მხატვრებს დროდადრო, უმთავრესად სადღესასწაულო თარიღებისათვის მზადების დღეებში იწვევენ ქუჩებისა და შენობების გაფორმებისათვის, მაგრამ ის არ წყვეტს პრობლემას. ამიტომ ყოველ ქალაქს უნდა ჰყავდეს საკუთარი მთავარი მხატვარი, რომელსაც დაეკისრება მუდმივი პასუხისმგებლობა ამ ქალაქის გაფორმებისათვის. ეს ჩვენს ქალაქებს უფრო ლამაზს გახდის, საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგავს მაღალ ესთეტიკურ გემოვნებას.

საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობის, ქუთაისის სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენების შესახებ ილაპარაკა განყოფილების თავმჯდომარემ **ვ. მიზანდარმა**. ქუთაისის გალერეაში მოეწყო 4 გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების 640 ნაწარმოები, სამი გამოფენა გაიხსნა ქალაქის დიდ სამრეწველო საწარმოთა კლუბებში. ქუთაისელები გაეცნენ ნიკო ფიროსმანიშვილის შედევრებს, პ. ოცხელის, უ. ჯაფარიძისა და ძ. შანკვეტაძის ნაწარმოებებს. აქ მოეწყო აგრეთვე გამოფენა, რომლის ექსპონატები შეარჩიეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებიდან. ქუთაისელ მხატვართა დიდი ჯგუფი იყო დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც გააკეთა ბევრი ჩანახატი და ეტიუდი. ამხ. მიზანდარმა წამოაყენა საკითხი, რომ საჭიროა განახლდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომელთა პროექტებში გათვალისწინებული იქნება მხატვართა სახელოსნოები.

სამხრეთ ოსეთის მხატვართა წარმომადგენელმა **გ. დოღუზოვმა** ილაპარაკა იმაზე, რომ ოლქის მცხოვრებლებმა ამ ბოლო დროს ნახეს ბევრი საინტერესო გამოფენა, რომლებიც მოეწყო არა მარტო ცხინვალში. ხალხმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ გამოფენებისადმი. მხატვართა კავშირის საშუალებით მომავალში საჭიროა უფრო ხშირად მოეწყოს გამოფენები. სამხრეთ ოსეთის მხატვრებს უნდა ჰქონდეთ ცხინვალში მუდმივი საგამოფენო დარბაზი, სადაც შეძლებენ გამოფინონ თავიანთი ნამუშევრები.

იმაზე, რომ არა აქვთ საგამოფენო დარბაზი, ილაპარაკა აგრეთვე მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ **ვ. სეიდიშვილმა**. მან წამოაყენა აგრეთვე საკითხი, რომ ხელოვნებათმცოდნეებმა უფრო ღრმად, პროფესიულად გაარჩიონ ცალკეულ მხატვართა შემოქმედება. ობიექტური კრიტიკა მხოლოდ დაეხმარება საერთო საქმეს.

თავის სიტყვაში თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა **ა. ქუთათელაძემ** აღნიშნა, რომ ქართველმა მხატვრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ხელოვნების განვითარებაში. მათმა ნაწარმოებებმა საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიპოვეს ხალხში. ეს არის თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდი დამსახურება. 40 წელიწადში აკადემიამ აღზარდა სხვადასხვა შემოქმედებითი სპეციალობის 600-ზე მეტი მხატვარი. მარტო ბოლო რამდენიმე წელიწადში ამ უმაღლესი სასწავლებლის 60 ახალგაზრდა კურსდამთავრებული მხატვართა კავშირის წევრი გახდა.

ამ ცოტა ხნის წინათ სამხატვრო აკადემიაში დაიწყო სამრეწველო სპეციალობის მხატვართა მომზადება. ისინი ძალიან საჭირო არიან ჩვენს ქვეყანაში. აკადემიას აქვს შესანიშნავი სასწავლო-ექსპერიმენტული კერამიკული სახელოსნო, აგრეთვე პატარა ქარხანა მცხეთაში, რომელიც გადაიქცა კერამიკის ხელოვნებასა და ტექნიკაში ფართო ექსპერიმენტის ბაზად. მალე აქვე შეიქმნება მხატვრული მინის პატარა წარმოება. აკადემიაში გათვალისწინებულია ლითონის, ხის მხატვრული დამუშავების, მოდელირების, ტექსტილისა და პლასტმასების სახელოსნოების შექმნა.

ყველა ეს სახელოსნო და სასწავლო წარმოება აკადემიაში გაერთიანდება სასწავლო საწარმოდ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო პრაქტიკული ხასიათი მივცეთ სტუდენტების მუშაობას, ხოლო მათი პროდუქცია რეალიზებული იქნება.

საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარემ **ვ. შერპილოვმა** თქვა, რომ გამოფენაზე „მშვიდობის საგუშაგოზე“ ძირითადად წარმოდგენილი არიან ახალგაზრდა მხატვრები, რომლებიც გამოირჩევიან ახლის მუდმივი ძიებით, გაბედულობით, მისწრაფებით ფეხი აუწყონ თანამედროვეობას. ჩვენმა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ არ უნდა დაივიწყოს დაზგური ფერწერის ტრადიციები, უნდა დაეუფლოს რეალისტური ხელოვნების მიღწევებს, აითვისოს ისინი. თბილისის მხატვართა კლუბი ჯერჯერობით ვერ გახდა შემოქმედებითი აზროვნების ცენტრი, კამათის, დისკუსიის, სხვა სახეობათა ხელოვნების შემოქმედ მუშაკებთან შეხვედრის ადგილი. კლუბის კარგი მუშაობის პირობებში ამ ღონისძიებებს შეიძლება მოჰყოლოდა დადებითი შედეგები.

საქართველოს მხატვართა კავშირის გრაფიკის სექციის თავმჯდომარემ **დ. გაბაშვილმა** აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება ქართული გრაფიკის პოპულარობა. ჩვენი ოსტატების ნაწარმოებები სურათების გალერეებიდან მშრომელთა ბინებში გადადის. ისინი კარგად შეეხამებიან ბინების თანამედროვე ინტერიერს თვითმყობადობით, შესრულების ოსტატობითა და კოლორიტით.

**ასამდე** მოქანდაკეა საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის წევრი, თქვა სექციის თავმჯდომარემ **ე. ამაშუკელმა**. ამ ბოლო დროს ჩვენთან მოვიდა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ოსტატი, რომელთა ნაწარმოებები უკვე იპყრობენ ყურადღებას გამოფენებზე. ეს გამოფენები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ ქართველ მოქანდაკეთა ნამუშევრებმა უნდა დაამშვენონ არა მარტო საგამოფენო დარბაზები, არამედ აგრეთვე ჩვენი ქალაქების მოედნები, არქიტექტურული ანსამბლები, ბაღები და სკვერები.

ე. ამაშუკელმა შეიტანა წინადადება უკეთ მოეწყოს კონკურსები, მოეწყოს დისკუსიები ქანდაკების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, გაძლიერდეს კონტაქტი რესპუბლიკის არქიტექტორებთან. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ შეიქმნას ცალკეული შენობების ლამაზი, მხატვრულად დამთავრებული ინტერიერები, უბნების ანსამბლები.

მოქანდაკეებმა **მ. ბერძენიშვილმა, გ. ოჩიაურმა და გ. კორძახიამ** აღნიშნეს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ცოტაა მონუმენტალური ქანდაკება. და თუ ასეთი ქანდაკებები არის, მათ არ იცნობს ადამიანთა ფართო წრე, ვინაიდან ისინი დადგმულია ძნელად მისადგომ ადგილებში.

ამავე საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი სიტყვები მოქანდაკეებმა **რ. შეროზიამ და მ. თალაკვაძემ.**

საქართველოს მხატვართა კავშირის თეატრალური და დეკორაციული ხელოვნების სექციის თავმჯდომარემ **დ. თავაძემ** თქვა, რომ წამყვან დეკორატორ მხატვრებს არაერთხელ გაუფორმებიათ სპექტაკლები მოსკოვში, ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. ესენი არიან ე. ახვლედიანი, ფ. ლაპიაშვილი, ი. სუმბათაშვილი, ე. ბერძენიშვილი და სხვები. ახლა მათთან ერთად დაიწყო მუშაობა და ყურადღება მიიქცია ნიჭიერმა ახალგაზრდობამ — ო. ქოჩაკიძემ, ი. ჩიკვაიძემ, ა. სლოვინსკიმ, მ. მალაზონიამ, მ. მურვანიძემ, ი. ყიფშიძემ, გ. გუნიამ, ნ. იგნატოვმა და სხვებმა. მაგრამ ამ ბოლო დროს შესამჩნევია გატაცება სპექტაკლების პლაკატურ-სავიტრინო, ყალბი — პირობითი გაფორმებით. ასეთი შემთხვევები ჯერ გამონაკლისია, მაგრამ ვერ შევურიგდებით, რომ გატაცება ტენდენციად გადაიქცეს. ზოგჯერ თეატრალური დადგმების გაფორმებას ახდენენ დილეტანტებს, რომლებისთვისაც „სანიმუშოა“ მოდური საზღვარგარეთული ჟურნალები.

სპექტაკლების გაფორმებაში ახლა ჭარბობს გრაფიკული საწყისი. ეს ცუდი როდია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ფერწერული დეკორაციები, გამოვიყენოთ ფერების მდიდარი ტონალობა. დ. თავაძემ თქვა, რომ დაიწყო მზადება ქართული დეკორაციული ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენისათვის.

საქართველოს მხატვართა კავშირის კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის სექციის თავმჯდომარემ **ო. ეგაძემ** შეიტანა წინადადება ფართოდ გაუღონ მხატვრებს კლუბების, კულტურის სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სპორტულ ნაგებობათა და მეტროპოლიტენის სადგურების კარი. მხატვრები მოვალენი არიან ქანდაკების, ფერწერის, გრაფიკის, ჩუქურთმის ნაწარმოებებით დაამშვენონ ისინი. რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების თითოეულ ახალ გამოფენაზე უნდა შეიქმნას ფილმები მშრომელთა ფართო მასებში მათი პოპულარიზაციის მიზნით. აგრეთვე უნდა გაფართოვდეს სამხატვრო სკოლებისა და სპეციალურ სასწავლებელთა ქსელი. ყველაფერი ეს აამაღლებს საბჭოთა ადამიანის კულტურის დონეს, დააკმაყოფილებს მის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

შეეხო რა სექციის მუშაობას, ო. ეგაძემ აღნიშნა, რომ ძალიან ძლიერი შემოქმედებითი შემადგენლობის მიუხედავად სექცია ჯერჯერობით ვერ გადაიქცა სახვითი ხელოვნების საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ცენტრად. უნდა გაძლიერდეს მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების კონტაქტი. ხელოვნებათმცოდნეები უფრო ხშირად უნდა ბეჭდავდნენ პროფესიულ სტატიებს, გამოდიოდნენ რადიოთი და ტელევიზიით. სასურველია, რომ ჩვენმა გამომცემლობებმა მეტი ადგილი დაუთმონ თავიანთ გეგმებში სექციის წევრთა ნაწარმოებებს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ **ვ. ბერიძეს** ამ ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად მიაჩნია ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების გასვლა დიდ ასპარეზზე. მათთან ერთად დაუცხრომლად მუშაობენ აგრეთვე უფროსი თაობის წარმომადგენლები, აღიარებული ოსტატები. ამ წლებში სახვითი ხელოვნების ყველა დარგში შეიქმნა ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები. გამოცოცხლდა მუშაობა ხელოვნების მივიწყებულ სახეობათა უწინარეს ყოვლისა გამოყენებითი ხელოვნების აღორძინებისათვის. მასობრივი ხასიათი მიიღო ახალგაზრდობის მისწრაფებამ დაეუფლოს კომპოზიციას, პლასტიკას, ნახატს, გამოიმუშაოს ინდივიდუალური მანერა და სტილი. ახალგაზრდების ნაწარმოებთა თემაა დღევანდელი საქართველო, ხოლო მათი შემოქმედების საფუძველია სოციალისტური რეალიზმი.

ორატორმა აღნიშნა, რომ ქართველმა მხატვრებმა უნდა აღმოფხვრან ჩამორჩენა თემატური სურათის ჟანრში, რომლის განვითარებას თავისი სიძნელეები ახლავს. თემატური ტილოები მოითხოვენ ცხოვრების ღრმა ცოდნას, ტიპიური ფაქტებისა და მოვლენების განზოგადების უნარს. ახალგაზრდებმა ბევრი უნდა იმუშაონ, განუწყვეტლივ აიმაღლონ კულტურა, გაიფართოონ გონებრივი ჰორიზონტი. ხშირად ნიჭიერი მხატვარი შემოქმედებითად აღარ იზრდება, მისდევს გარეგნულ ეფექტს, სურს ყურადღება მიიპყროს მხოლოდ ხატვის მანერით, იმეორებს განვლილ ეტაპებს და მიმბაძველი ხდება.

ვ. ბერიძემ შეიტანა წინადადება ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მოეწყოს საბჭოთა პერიოდის ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტიული გამოფენა, აგრეთვე საზღვარგარეთ გამოფინონ ქართველ ოსტატთა საუკეთესო ნაწარმოებები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსმა **თ. კანდელაკმა** თქვა, რომ სამინისტრომ რესპუბლიკის მუზეუმებსა და კულტურის სახლებს გადასცა ქართველ მხატვართა ბევრი ნაწარმოები, ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში შეიქმნა მუდმივი გამოფენები. ეს ხელს უწყობს ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, ამაღლებს მშრომელთა ფართო მასების კულტურულ დონეს.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს სურათების გალერეა. აქ ადგენენ კატალოგებს და ინდივიდუალურ ბარათებს მხატვართა ნაწარმოებების აღწერითა და ფოტორეპროდუქციებით. ამით იქმნება ჩვენი რესპუბლიკის მხატვართა შემოქმედების სისტემატიზებული, მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებული მატიანე.

სამწუხაროდ, ქაღალდის ნაკლებობის გამო კატალოგებისა და პროსპექტების გამოცემა ფერხდება, ხოლო მონოგრაფიები მხატვრებზე და პოპულარული გამოცემები მხატვრული შემოქმედების საკითხებზე ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით გამოდის.

საკმაო პროპაგანდას არ უწევენ სახვით ხელოვნებას ჩვენი გაზეთები. ხშირად ისინი კმაყოფილდებიან მოკლე ინფორმაციებით ნაცვლად იმისა, რომ მოგვცენ ამა თუ იმ გამოფენის დაწვრილებითი პროფესიული გარჩევა, აღნიშნონ მისი ღირსებანი და ნაკლოვანებანი.

საქართველოს მხატვრები აქტიურად მონაწილეობენ ახალი მანქანების, ინსტრუმენტების, საოჯახო და პირადი საჭიროების საგნების შექმნაში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარმა მხატვარმა **მ. დურგლიშვილმა** ილაპარაკა ამ ბიუროს საქმიანობაზე. ბიურო სწავლობს წარმოების ტექნოლოგიურ პირობებს, ქმნის ახალ ნიმუშებს, რომლებიც შეესაბამებიან დღევანდელი დღის მოთხოვნილებებს არა მარტო თავიანთი ხარისხით, არამედ გარეგნული გაფორმებითაც. საკონსტრუქტორო ბიურო მჭიდროდ დაკავშირებულია წარმოებასთან და ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებთან. კონსტრუქტორი მხატვრები ახალ ნაკეთობათა შემუშავების დროს ითვალისწინებენ მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა შენიშვნებს.

ტექნიკური ესთეტიკა ახალი დარგია. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქვეყანაში არ გვყავდა მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტები, ახლა კი მათ ამზადებს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლები, მათ შორის თბილისის სამხატვრო აკადემიაც. საჭიროა მოვამზადოთ ისეთი კონსტრუქტორი მხატვრები, რომლებიც შეძლებენ არსებითად გააუმჯობესონ ქარხნებისა და ფაბრიკების პროდუქცია.

ქართველ კონსტრუქტორ მხატვართა გზა არ არის არსებულ ნიმუშთა სტილიზაცია მოდის მიხედვით, მათ უნდა შექმნან ნამდვილად ახალი საგნები, რომლებიც შეამსუბუქებენ და დაამშვენებენ ადამიანთა ცხოვრებას, გააუმჯობესებენ შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს. იმისათვის, რომ მხატვრული კონსტრუირება შემთხვევითი ხასიათისა არ იყოს, საჭიროა, რომ რესპუბლიკაში შეიქმნას ერთიანი ცენტრი. საქართველოს მხატვართა კავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობაში.

**კიროვის** სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **შ. ფირცხალავამ** მხატვრებს ურჩია უფრო ხშირად ეწვიონ წარმოებას, გაეცნონ მშრომელთა ცხოვრებასა და მუშაობას. ეს დაეხმარება მათ შექმნან ნაწარმოებები, რომლებიც სჭირდება კომუნიზმის მშენებელ ხალხს.

რეზოლუციაში, რომელიც მხატვართა ყრილობამ მიიღო, ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებს დასახეს ახალი შემოქმედებითი ამოცანები, პირობა მისცეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ უფრო აამაღლებენ თავიანთი შემოქმედების იდეურ და მხატვრულ დონეს, აქტიურად შეუწყობენ ხელს ახალი კულტურის, კომუნიზმის კულტურის შექმნას.

ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, აგრეთვე შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადების ღონისძიებანი.

(საქდესი).



**სურათზე:** საქართველოს მხატვართა VI ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, სსრ კავშირის სახალხო მხატვრები ბ. იოგანსონი, უ. ჯაფარიძე და საქართველოს დამსახურებული მხატვარი ნ. ჩიქოვანი.

ფოტო ი. მღებრიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საერთაშორისო ცხოვრება

## ალჟირი შეხვდა კოსმონავტებს

**ალჟირი, 26 მარტი. (საქდესი).** დღეს ალჟირის დედაქალაქი ზეიმით შეხვდა ძვირფას სტუმრებს საბჭოთა კოსმონავტ მფრინავებს ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვასა და ანდრიან ნიკოლაევს, რომლებიც ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სტუმრები იქნებიან.

დედაქალაქის ქუჩები და მოედნები მორთულია მისასალმებელი პლაკატებით: „ვაშა, „ვოსხოდ-2““, „გაუმარჯოს ალჟირ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „ვაშა, კოსმოსის გმირებს!“ ყველგან გამოფენილია საბჭოთა კოსმონავტების პორტრეტები.

„დარ ელ-ბეიდის“ აეროდრომზე კოსმონავტებს შეხვდნენ ალჟირის მთავრობის მინისტრი აბდელ კადერ ზაიბეკი, ალჟირის დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის წარმომადგენლები.

დედაქალაქის ათასობით მცხოვრები ტაშის გრიალით ხვდებოდა მანქანას, რომელშიც საბჭოთა კოსმონავტები ისხდნენ.

**ალჟირი, 27 მარტი. (საქდესი).** დღეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ბენ ბელამ თავის რეზიდენციაში მიიღო საბჭოთა კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

კოსმონავტი მფრინავები გუშინ ჩამოვიდნენ ალჟირში, როგორც ალჟირის რესპუბლიკის მთავრობის სტუმრები.

## ბარბაროსული აქტი

### ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

**ჰანოი, 26 მარტი, (საქდესი),** დღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განცხადება გააკეთა იმის გამო, რომ შეერთებულმა შტატებმა შხამიანი გაზები გამოიყენეს სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა, ნათქვამია განცხადებაში, ახალი ბარბაროსული დანაშაული ჩაიდინეს სამხრეთ ვიეტნამში. 22 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აშკარად გამოაცხადა, რომ შხამიანი გაზები გამოიყენა აგრესიულ ომში სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ და დაადასტურა, რომ სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოამარაგეს სამხრეთვიეტნამელი მარიონეტები სხვადასხვა სახეობის შხამიანი გაზებით და რომ ამერიკელი მფრინავები მომწამვლელ ნივთიერებებს აფრქვევენ სამხრეთ ვიეტნამის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მოქმედება, რომლებიც შხამიან გაზებს იყენებენ ომის საშუალებად, ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებების, ვაშინგტონის 1922 წლის კონვენციისა და ჟენევის 1925 წლის ოქმის უხეში დარღვევაა.

## ჯოუ ენ-ლაის ვიზიტი ალბანეთში

**ტირანა, 27 მარტი. (საქდესი).** დღეს ალბანეთში ვიზიტად ჩამოვიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი. ამას იუწყება ალბანეთის დეპეშათა სააგენტო.

დებრეცენი უნგრეთის ძველი ქალაქია. მას 600 წელი შეუსრულდა მაგრამ თანამედროვე უნგრეთის ისტორიაში იგი ცნობილია იმით, რომ 1944 წელს, როცა საბჭოთა არმიამ ეს ქალაქი გაათავისუფლა, აქ შეიქმნა დროებითი ეროვნული მთავრობა, რომელმაც ომი გამოუცხადა ფაშისტურ გერმანიას და განახორციელა დემოკრატიული გარდაქმნები. სახალხო ხელისუფლების წლებში დებრეცენში სწრაფად ვითარდება მრეწველობა.

ფოტო მტი-საქდესისა.



## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოსკოვის საელჩოებს გაუგზავნა იდენტური შინაარსის ნოტები იმასთან დაკავშირებით, რომ დასახულია დასავლეთ ბერლინში გაიმართოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის სხდომა.

ქვემოთ ქვეყნდება ტექსტი საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

„ახლახან ბონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი აპირებენ მიმდინარე წლის აპრილში დასავლეთ ბერლინში გამართონ ბუნდესტაგის პლენარული სხდომა, აგრეთვე ბუნდესტაგის კომისიათა და ფრაქციათა სხდომები და სხვა ღონისძიებანი, რომლებმაც მათი ორგანიზატორების აზრით, უნდა განამტკიცონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული პრეტენზიები ამ ქალაქის მიმართ. ამ წამოწყების წინასწარ განზრახული პროვოკაციული ხასიათი ეჭვს არ იწვევს, რადგან დასავლეთი ბერლინი, როგორც ცნობილია, არასოდეს არ შედიოდა და არ შედის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტისა და ადმინისტრაციული ორგანოების ყოველგვარი საქმიანობა ამ ქალაქში, რომელიც მდებარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, უკანონოა.

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთა მიერ დასახული პროვოკაციული აქციის მიზანია ვითარების გამწვავება ევროპის ცენტრში, აგრეთვე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ეს აქცია ვერ განხორციელდება მაოკუპირებელი სახელმწიფოების ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელისუფალთა დაუდასტურებლად, რომლებიც ახორციელებენ კონტროლის ფუნქციას დასავლეთ ბერლინში, და საჭიროდ მიაჩნია გააფრთხილოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომ პასუხისმგებლობა ბონის ხელისუფალთა აღნიშნული უკანონო მოქმედების შედეგებისათვის დაეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

საბჭოთა მთავრობა იტოვებს უფლებას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც შეესაბამება მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს — უზრუნველყოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობა“.

## ბოლო უნდა მოეღოს ამერიკის აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამში

**იმასთან** დაკავშირებით, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუან ტხიუიმ ა. წ. 22 მარტს მიმართა ჟენევის 1954 წლის თათბირის თანათავმჯდომარე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს, დიდი ბრიტანეთის დროებით საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ტ. ბრიმელოუს ა. წ. 24 მარტს გადაეცა შემდეგი ტექსტი ჟენევის თათბირის თანათავმჯდომარეთა ერთობლივი წერილის საბჭოთა პროექტისა:

„ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის თანათავმჯდომარეებმა მიიღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. წ. 22 მარტის მიმართვა, რომელშიც ხაზგასმულია, თუ რა განსაკუთრებით სერიოზული ვითარება შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის იმ ახალი უაღრესად საშიში მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ომის გაფართოებას ვიეტნამში და სამხედრო მოქმედების გავრცელებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. თანათავმჯდომარენი გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ამ აგრესიულ მოქმედებას, რომელიც ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა უხეში დარღვევაა. ისინი მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან თავისი ჯარები და თავისი სატელიტების ჯარები, გაიტანოს მთელი საჭურველი და სამხედრო ტექნიკა და საშუალება მისცეს სამხრეთ ვიეტნამის ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საქმეები.

თანათავმჯდომარეები, დარწმუნებულნი, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის გადასაჭრელად და მშვიდობის უზრუნველსაყოფად ინდოჩინეთში, გამოთქვამენ იმედს, რომ 1954 წლის შეთანხმებათა მონაწილე ყველა სახელმწიფო მხარს დაუჭერს ამ მიმართვას და მოსთხოვს ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესიული მოქმედება ვიეტნამში და მტკიცედ შეასრულონ ჟენევის შეთანხმებანი.

სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ტ. ბრიმელოუსათვის ერთობლივი წერილის პროექტის გადაცემის დროს აღინიშნა: საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ინგლისის მხარე დაუყოვნებლივ განიხილავს ამ წინადადებას, რათა თანათავმჯდომარეებმა სასწრაფოდ მიიღონ ღონისძიებანი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მომართვასთან დაკავშირებით.

# ახალი ამბები · მოკლედ

## ფოტოკორესპონდენტთა სემინარმა მუშაობა დაამთავრა

26 მარტს მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, თურქმენეთის სსრ, დაღესტნის, ყაბარდო-მალყარეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სტავროპოლის, კრასნოდარის მხარეებისა და როსტოვის ოლქის გაზეთების ფოტოკორესპონდენტთა გაერთიანებულმა შემოქმედებითმა სემინარმა, რომელიც მიეძღვნა შემოქმედებითი ოსტატობის გაუმჯობესებასა და მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

25 მარტს სემინარზე მოისმინეს მოხსენებები. „ახალი ამბების" სააგენტოს ფოტოკორესპონდენტ ვ. მალიშევისა „პორტრეტის ფერადი გადაღება" და საქდესის ფოტოკორესპონდენტ ნ. გრანოვსკისა „ქალაქის არქიტექტურული გადაღების თავისებურებანი".

სემინარზე დამსწრეთ თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს აზდესის ფოტოქრონიკის გამგემ ს. კულიშევმა, სომხეთის ფოტოქრონიკის გამგემ ს. ხოსროევმა, თურქმენეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირის ფოტოჟურნალისტთა სექციის თავმჯდომარემ ტაი-ლი ქერიმმა, აზერბაიჯანის გაზეთ „ვიშკის" ფოტოკორესპონდენტმა ი. ჰუსეინ-ზადემ, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ფოტოკორესპონდენტმა ი. მოლოტკოვმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის წევრმა დ. დავიდოვმა, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" საილუსტრაციო განყოფილების გამგემ ვ. რუსეცკიმ, გაზეთ „ვეჩერნი როსტოვის" ფოტოკორესპონდენტმა გ. ზოზულიამ, ყაბარდო-მალყარეთის ასსრ გაზეთ „ლენინსკი პუტის" ფოტოკორესპონდენტმა ი. კოლესნიკოვმა, „ახალი ამბების" სააგენტოს ფოტოკორესპონდენტმა მ. განკინმა, ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის" ფოტოკორესპონდენტმა ლ. ბაბაიანმა, გაზეთ „ქუთაისის" საილუსტრაციო განყოფილების გამგემ ბ. მაღლაფერიძემ, გაზეთ „კომსომოლეც დაგესტანის" ფოტოკორესპონდენტმა თ. ზიმბელმა, გაზეთ „სოვეტსკაია აფხაზიის" ფოტოკორესპონდენტმა ს. კოროტკოვმა.

სემინარის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ გ. ოშევეროვმა, რომელმაც ილაპარაკა გაზეთის ილუსტრაციაზე და გაზეთების გაფორმების გაუმჯობესების, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის მიღწევათა პროპაგანდის საქმეში ფოტოკორესპონდენტთა ამოცანებზე.

სემინარზე განიხილეს სემინარის მონაწილე ფოტოკორესპონდენტთა ფოტოსურათები. განმარტებას იძლეოდნენ „ახალი ამბების სააგენტოს ფოტოკორესპონდენტი ვ. მალიშევი, საქდესის ფოტოკორესპონდენტი ნ. გრანოვსკი, ჟურნალ „ოგონიოკის" ფოტოკორესპონდენტი გ. კოპოსოვი.

სემინარის დასასრულს ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს" მთავარმა რედაქტორმა მ. ბუგაევამ ილაპარაკა ჟურნალის მომავალ გეგმებსა და ფოტოკორესპონდენტების მონაწილეობაზე.

27 მარტს სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს საქართველოს უძველესი დედაქალაქის მცხეთის ღირსშესანიშნაობები. (საქდესი).

## „იზვესტიის" მკითხველთა კონფერენცია

რუსთავი, 27 მარტი. (საქდესი). რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გაიმართა გაზეთ „იზვესტიის" მკითხველთა კონფერენცია.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ხარბედიამ.

„იზვესტიის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ გ. ოშევეროვმა მოუთხრო მკითხველებს გაზეთის მუშაობისა და მისი მომავალი გეგმების შესახებ.

კონფერენციაზე გაზეთისადმი შენიშვნები გააკეთეს და სურვილები გამოთქვეს ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსმა ბ. სპიეაკოვსკიმ, მარტენის საამქროს პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილემ დ. ინასარიძემ და სხვ.

დასასრულ გ. ოშევეროვმა უპასუხა კონფერენციის მონაწილეთა კითხვებს.

## ჩემპიონატები ● ტურნირები ● მატჩები

### თბილისელებს — ვერცხლის მედლები

მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ქალებმა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი წააგეს რიგის ტტტ-ს გუნდთან, ვერცხლის მედლების მოპოვების შანსები თითქმის გაქრა.

მაგრამ ჩემპიონატის ფინიშთან მეტად მნიშვნელოვანი სიურპრიზის მოწმენი გავხდით. მეორე ადგილის პრეტენდენტმა ლენინგრადის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა დამარცხება განიცადა ტარტუს უნივერსიტეტის კალათბურთელებთან 56:60.

ლენინგრადელთა წარუმატებლობამ ჩვენს კალათბურთელებს გზა გაუხსნა ვერცხლის მედლებისაკენ, მაგრამ საჭირო იყო უკანასკნელი მატჩის მოგება ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკასთან". ჩანს, ამ პასუხსაგებმა ასპარეზობამ ძალზე იმოქმედა ქართველ კალათბურთელებზე, მათ რიგებში თავი იჩინა ზედმეტმა ნერვიულობამ და ტაიმი წააგეს 25:29.

მეორე ნახევარში წონასწორობა აღდგენილ იქნა, შემდეგ კი ბრძოლა ქულაქულაში მიდიოდა. ასეთ ვითარებაში თავი გამოიჩინა გ. სანაძემ. იგი სათავეში ჩაუდგა იერიშებს და წინ გაიყვანა თავისი კოლექტივი. ჩვენმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 57:45.

ჩემპიონი ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე იყო ცნობილი. ეს საპატიო ტიტული მეექვსეჯერ მოიპოვა რიგის ტტტ-ს გუნდმა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ძეკონსკი, გუნდის წევრები — ნ. ჯაფარიძე, გ. გრიგორიანი, ნ. გამყრელიძე, მ. სურგულაძე, ა. კოვზირიძე, ნ. დურმიშიძე, ც. ჯანელიძე, ბ. სანაძე, ლ. ქველიაშვილი, ლ. კვიციანი, ლ. კომარი, ე. დურმიშიძე) მეორე ადგილი დაიკავა, რაც უთუოდ დიდი გამარჯვებაა. ლენინგრადის სკა მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე დაწესებული პრიზები.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**სურათზე:** საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნები — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები.

### სპორტული ქრონიკა

▲ **ქ. ოტეპიაში** გათამაშდა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე ოქროს მედალი. სათხილამურო ამანათრბენში 4×10 კილომეტრზე ვაჟთათვის გაიმარჯვა არმიელთა გუნდმა ბ. შუმილოვის, ლ. ემელინის, ა. აკენტიევისა და გ. ვაგანოვის შემადგენლობით. ქალთა ამანათრბენშიც 4×5 კილომეტრზე წარმატება არმიელ მოთხილამურეებს ხვდათ.

▲ **ლენინგრადი** დიდი ასპარეზობის მოწმეა. აქ თავი მოიყარეს ჩვენი მძლეოსნობის „ვარსკვლავებმა". პირველ დღეს თ. პრესმა ბირთვი კრა 17 მეტრსა და 75 სანტიმეტრზე, ტ. შჩელკანოვა გადახტა 6 მეტრსა და 39 სანტიმეტრზე. ორივე შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა.

### გროსმაისტერები ემზადებიან

მიმდინარე სპორტულ სეზონში მრავალი საჭადრაკო ტურნირი გაიმართება, მაგრამ მათ შორის გულშემატკივრებს ყველაზე მეტად აღელვებთ პრეტენდენტთა პაექრობა.

ეს შეხვედრები ადრინდელს როდი ჰგავს — დამარცხებული გამოდის მწყობრიდან და ასეთი თანმიმდევრობით გამოვლინდება მსოფლიოს პირველობაზე ტ. პეტროსიანის მეტოქე.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კერესისა და სპასკის მატჩი ათი პარტიისაგან დაიწყება რიგაში 7 აპრილს. სმისლოვი და გელერი პაექრობას მოგვიანებით — 17 აპრილს შეუდგებიან მოსკოვში. რიგასა და მოსკოვში გამარჯვებულთა შეხვედრები დაიწყება ლენინგრადში 26 მაისიდან.

ასეთივე პროცედურით შედგება მატჩები იუგოსლავიაში. მეორე ფინალისტი ცნობილი გახდება აგვისტოსათვის. ორი თვის შესვენების შემდეგ კი ოქტომბერში — მოეწყობა ფინალური შეხვედრა.

### მასპინძელთა აზრით

**როგორც** ცნობილია, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება და არაერთი საკონტროლო მატჩი გამართა იუგოსლავიაში. მის თამაშებს ფართო გამოხმაურება ხვდა. აი ზოგიერთი იუგოსლაველი სპეციალისტის აზრი.

**„ცრვენა ზვეზდას" ტექნიკური დირექტორი, წარსულში განთქმული თავდამსხმელი რაიკო მიტიჩი:**

„საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვა თამაშობდა სადად და აზრიანად. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ს. მეტრეველმა. გ. სიჭინავა ასევე საუცხოო იყო, ვ. ვორონინი — მეტად ძლიერი".

**იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი, ბელგრადის გაზეთ „სპორტის" მთავარი რედაქტორი ლ. ლოვრიჩი:**

„საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სეზონის დასაწყისისათვის იგი ფიზიკურად საუცხოოდ არის მომზადებული. ფორვარდები კარში მეტად ცოტას ურტყამენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მეკარე ვ. ბანიკოვმა. მცველები არ ბრწყინავდნენ, თუმცა სოლიდურად და თავგანწირულად თამაშობდნენ. ვ. ვორონინი სახიფათოა შეტევისას, მეტად პროდუქტიულია დაცვისას. დიდებულია გ. სიჭინავა. თავდასხმაში გამოირჩეოდნენ ხელოვანი ვ. ივანოვი და მეტად მოხერხებული ს. მეტრეველი".

**გამოჩენილი თავდამსხმელი ბორა კოსტიჩი:**

„მეტრეველზე მეტად არცერთი საბჭოთა ფეხბურთელი არ მომწონებია".

**პოპულარული თავდამსხმელი დრაგოსლავ შეკულარაცი:**

„საბჭოთა კავშირის გუნდში ყველაზე უკეთესი იყვნენ მეტრეველი და მეკარე ბანიკოვი".

**ბელგრადის „სპორტი":**

„საბჭოთა კავშირის გუნდში საუკეთესო იყვნენ **ბანიკოვი, ვორონინი, მეტრეველი, ივანოვი** და **სიჭინავა**".

სარაევოსთან ჩატარებულ მატჩში მიმომხილველები აღნიშნავენ **მ. მესხის** „ელვისებრ რეაქციასა" და „ინდივიდუალური გარღვევების ოსტატობას".

## ჯა ვნახოთ, ჯა მოვისმინოთ

### თეატრები

28 მარტი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — გედის ტბა (დღისით), აიდა (საღამოს, მე-13 აბონ. მე-4 წარმოდგენა და გაცვლილი აბონემენტები), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ქუთათურები (დღისით, 1-ლი აბონ. მე-5 წარმოდგენა), სამგროშიანი ოპერა (საღამოს უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — კახაბერის ხმალი (დღისით, 23-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა), დევიძეების ოჯახი (საღამოს უაბონემენტოდ), **სანკულტურის** — როგორ მოვხვდი საგიჟეთში.

### ტელევიზია

28 მარტი

11.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 12.00 — „ერმიტაჟის შედევრები" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 12.30 — გიპასუხებთ თქვენს წერილებზე, უფროსკლასელებო! (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ბავშვებისათვის — გესაუბრებით მხეცების შესახებ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 18.20 — მუსიკალური ფარდული (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.50 — კინონარკვევი, 19.40 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 20.30 კინონარკვევი, 20.50 — გადაცემა ციკლიდან „გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი", 21.10 — საკვირაო-საესტრადო კონცერტი, 21.55 — გადაცემათა პროგრამა 29 მარტისათვის, 22.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კინოეკრანი-65" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.20 — საერთაშორისო კონკურსი ცეკვაში (გადმოცემა პრაღიდან).

## დისერტაციის დაცვა

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**1965 წლის 7 აპრილს,** დღის 12 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ასკერ მაგა-მუდის-ძე გადაგატლი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ადიღური ეპოსი „ნართები".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

# შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მესამე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1965 წლის 25 მარტს დაბა გეგეჭკორში. ტირაჟში გათამაშდა 140 ნივთმოგება და 112.360 ფულადი მოგება 187.500 მანეთის თანხისა. მოგება ხვდა 1965 წლის მესამე გამოშვების ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 05027 | 094* | 15 მანეთი | — |
| 05028 | 024* | 15 მანეთი | — |
| 05036 | 008* | 200 მანეთი | — |
| 05037 | 086* | 30 მანეთი | — |
| 05060 | 347* | 20 მანეთი | — |
| 05079 | 318* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05093 | 307* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 05103 | 363* | 30 მანეთი | — |
| 05114 | 253* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 05127 | 351* | მაცივარი | 200—00 |
| 05131 | 478* | 20 მანეთი | — |
| 05141 | 310* | პიანინო | 526—50 |
| 05171 | 189* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 05208 | 214* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 05220 | 209* | 300 მანეთი | — |
| 05221 | 328* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05233 | 459* | მაცივარი | 200—00 |
| 05235 | 046* | 25 მანეთი | — |
| 05246 | 232* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05260 | 1—500 | 10 მანეთი | — |
| 05275 | 431* | 200 მანეთი | — |
| 05300 | 156* | პიანინო | 526—50 |
| 05310 | 363* | 100 მანეთი | — |
| 05316 | 151* | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 3461—25 |
| 05334 | 432* | პიანინო | 526—50 |
| 05337 | 175* | 20 მანეთი | — |
| 05340 | 276* | 200 მანეთი | — |
| 05344 | 500* | ხელის საკერავი მანქანა | 50—00 |
| 05350 | 394* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 05352 | 020* | პიანინო | 526—50 |
| 05358 | 075* | მაცივარი | 200—00 |
| 05383 | 087* | მაცივარი | 200—00 |
| 05391 | 375* | 20 მანეთი | — |
| 05392 | 158* | 20 მანეთი | — |
| 05395 | 450* | 20 მანეთი | — |
| 05397 | 070* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05421 | 190* | პიანინო | 526—50 |
| 05447 | 076* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05450 | 459* | 30 მანეთი | — |
| 05466 | 351* | 30 მანეთი | — |
| 05472 | 027* | 30 მანეთი | — |
| 05474 | 026* | პიანინო | 526—50 |
| 05487 | 443* | 25 მანეთი | — |
| 05494 | 397* | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 2220—00 |
| 05512 | 212* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05515 | 484* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05527 | 093* | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 3461—25 |
| 05529 | 1—500 | 5 მანეთი | — |
| 05531 | 330* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 05534 | 419* | 30 მანეთი | — |
| 05535 | 040* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05540 | 286* | 20 მანეთი | — |
| 05545 | 1—500 | 10 მანეთი | — |
| 05550 | 330* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 05551 | 012* | 200 მანეთი | — |
| 05585 | 169* | მაცივარი | 200—00 |
| 05638 | 484* | ფოტოაპარატი „ზორკი" | 43—00 |
| 05640 | 393* | მაცივარი | 200—00 |
| 05649 | 356* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05660 | 464* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05662 | 182* | 20 მანეთი | — |
| 05708 | 302* | პიანინო | 526—50 |
| 05725 | 002* | 20 მანეთი | — |
| 05726 | 380* | 25 მანეთი | — |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 05734 | 152* | 20 მანეთი | — |
| 05765 | 232* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05773 | 360* | 20 მანეთი | — |
| 05785 | 035* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 05812 | 329* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05822 | 328* | 20 მანეთი | — |
| 05836 | 125* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 05845 | 305* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05852 | 024* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05865 | 360* | პიანინო | 526—50 |
| 05877 | 449* | 30 მანეთი | — |
| 05891 | 400* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05894 | 190* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05904 | 075* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 05911 | 067* | 25 მანეთი | — |
| 05913 | 289* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 05915 | 024* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05917 | 273* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05945 | 492* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 05947 | 152* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 05962 | 293* | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 3461—25 |
| 05966 | 339* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 05974 | 166* | 15 მანეთი | — |
| 05983 | 179* | მაცივარი | 200—00 |
| 05997 | 273* | 300 მანეთი | — |
| 06026 | 031* | 30 მანეთი | — |
| 06052 | 176* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06054 | 063* | მაცივარი | 200—00 |
| 06055 | 155* | ხელის საკერავი მანქანა | 50—00 |
| 06063 | 043* | 300 მანეთი | — |
| 06074 | 380* | პიანინო | 526—50 |
| 06079 | 213* | 25 მანეთი | — |
| 06090 | 405* | 30 მანეთი | — |
| 06097 | 220* | 15 მანეთი | — |
| 06113 | 278* | ხელის საკერავი მანქანა | 50—00 |
| 06115 | 477* | 25 მანეთი | — |
| 06126 | 206* | პიანინო | 526—50 |
| 06140 | 256* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 06143 | 413* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 06176 | 500* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06184 | 009* | 20 მანეთი | — |
| 06186 | 178* | 20 მანეთი | — |
| 06188 | 392* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06191 | 295* | მაცივარი | 200—00 |
| 06199 | 101* | 20 მანეთი | — |
| 06221 | 306* | ფოტოაპარატი „ზორკი" | 43—00 |
| 06248 | 143* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06261 | 276* | 20 მანეთი | — |
| 06273 | 361* | 25 მანეთი | — |
| 06280 | 266* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 06295 | 356* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06296 | 356* | 20 მანეთი | — |
| 06306 | 420* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 06313 | 071* | მაცივარი | 200—00 |
| 06316 | 031* | პიანინო | 526—50 |
| 06325 | 180* | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 3461—25 |
| 06330 | 229* | პიანინო | 526—50 |
| 06386 | 335* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06404 | 200* | 15 მანეთი | — |
| 06412 | 361* | 100 მანეთი | — |
| 06445 | 447* | 25 მანეთი | — |
| 06453 | 161* | ფოტოაპარატი „ზორკი" | 43—00 |
| 06457 | 366* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06477 | 094* | 25 მანეთი | — |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 06490 | 049* | 100 მანეთი | — |
| 06503 | 136* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06523 | 051* | მაცივარი | 200—00 |
| 06539 | 008* | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 2220—00 |
| 06546 | 277* | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებელ „საქართველოთი" | 150—00 |
| 06547 | 406* | პიანინო | 526—50 |
| 06580 | 384* | 20 მანეთი | — |
| 06584 | 033* | 500 მანეთი | — |
| 06609 | 474* | მაცივარი | 200—00 |
| 06611 | 263* | 20 მანეთი | — |
| 06616 | 229* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 06620 | 012* | მაცივარი | 200—00 |
| 06628 | 143* | 100 მანეთი | — |
| 06648 | 227* | 15 მანეთი | — |
| 06655 | 496* | 20 მანეთი | — |
| 06666 | 205* | პიანინო | 526—50 |
| 06669 | 037* | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებელ „საქართველოთი" | 150—00 |
| 06681 | 139* | 20 მანეთი | — |
| 06683 | 487* | მაცივარი | 200—00 |
| 06700 | 105* | მაცივარი | 200—00 |
| 06717 | 453* | მაცივარი | 200—00 |
| 06723 | 013* | 15 მანეთი | — |
| 06724 | 238* | 15 მანეთი | — |
| 06726 | 215* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 06727 | 481* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 06758 | 454* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06766 | 392* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06767 | 223* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06770 | 124* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 06795 | 153* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 06796 | 192* | მაცივარი | 200—00 |
| 06798 | 305* | პიანინო | 526—50 |
| 06812 | 237* | 20 მანეთი | — |
| 06813 | 256* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 06814 | 031* | პიანინო | 526—50 |
| 06836 | 057* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06865 | 039* | 300 მანეთი | — |
| 06866 | 362* | 100 მანეთი | — |
| 06871 | 106* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06875 | 040* | ხელის საკერავი მანქანა | 50—00 |
| 06894 | 360* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 06898 | 048* | 100 მანეთი | — |
| 06905 | 392* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 06907 | 462* | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 2220—00 |
| 06915 | 096* | 20 მანეთი | — |
| 06920 | 100* | პიანინო | 526—50 |
| 06928 | 117* | 200 მანეთი — | — |
| 06952 | 424* | მაცივარი | 200—00 |
| 06953 | 032* | 20 მანეთი | — |
| 06957 | 358* | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 3461—25 |
| 06980 | 014* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 06981 | 071* | 20 მანეთი | — |
| 07003 | 263* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 07009 | 371* | ფოტოაპარატი „ზორკი" | 43—00 |
| 07014 | 179* | მაცივარი | 200—00 |
| 07015 | 223* | 100 მანეთი | — |
| 07027 | 229* | მაცივარი | 200—00 |
| 07034 | 377* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 07046 | 007* | 20 მანეთი | — |
| 07090 | 068* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 07109 | 029* | 25 მანეთი | — |
| 07115 | 480* | მაცივარი | 200—00 |
| 07125 | 484* | მამაკაცის მაჯის საათი | 28—00 |
| 07130 | 155* | 20 მანეთი | — |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 07135 | 409* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 07151 | 277* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 07156 | 004* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 07167 | 234* | პიანინო | 526—50 |
| 07168 | 136* | ფოტოაპარატი „ზორკი" | 43—00 |
| 07175 | 065* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 07183 | 396* | 100 მანეთი | — |
| 07206 | 197* | 30 მანეთი | — |
| 07219 | 095* | 100 მანეთი | — |
| 07221 | 024* | ტელევიზორი „რეკორდი" | 210—00 |
| 07222 | 402* | სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები | 111—40 |
| 07223 | 084* | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 2220—00 |
| 07233 | 292* | 300 მანეთი | — |
| 07244 | 420* | მაცივარი | 200—00 |
| 07258 | 100* | 20 მანეთი | — |
| 07280 | 021* | ხელის საკერავი მანქანა | 50—00 |
| 07293 | 161* | 20 მანეთი | — |
| 07317 | 397* | 15 მანეთი | — |
| 07330 | 406* | მაცივარი | 200—00 |
| 07390 | 158* | პიანინო | 526—50 |
| 07393 | 060* | 100 მანეთი | — |
| 07394 | 134* | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 2220—00 |
| 07404 | 305* | ავტომანქანა „ვოლგა" | 5513—25 |
| 07423 | 369* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 07425 | 251* | პიანინო | 526—50 |
| 07434 | 162* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 07442 | 482* | ელექტროსამართებელი | 22—50 |
| 07450 | 286* | ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1, 85 მ. | 16—00 |
| 07469 | 066* | მაცივარი | 200—00 |
| 07474 | 216* | 15 მანეთი | — |
| 07483 | 270* | მაცივარი | 200—00 |
| 07488 | 229* | 20 მანეთი | — |
| 07491 | 1—500 | 5 მანეთი | — |

**შენიშვნა:** *) ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500 ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

## მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს სსრ ყველა შემნახველი სალარო და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში. მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილში ელექტროქსელის ძაბვა ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარმოდგენილ იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1966 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან. ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ფულადი მოგებისა და მოგებული ნივთების გაცემა.

**შენიშვნა:** სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება და ფული მოგებულ ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის კალინინის სახელობის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთების გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება რესპუბლიკის ყველა დიდი ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე
გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ა. სურმავა.

თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი
ს. პაპავა.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
მ. ჯანგიძე.



კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 3-15-00-დან. 09-მდე რედაქტორის მოადგილეები — 9-93-03. 3-08-67, პ/მ მდივანი — 9-72-80, ხამდივნო — 3-46 10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-89, მრეწველობის — 3-20 43, სოფლის მეურნეობის — 3-82-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-85-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-18-55, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-19-99, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 05496 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.